№ 88 სახალხო გაზეთი № 88

შაბათი, 21 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
# სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
## სურათებიანი დამატება
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

## კვირას, 5 სექტემბერს
**დღის 11½ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში**
მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ
### „ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთურისა."
**განსახილველია:**
1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალი წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (5—2)

## ქ. ქუთაისში
**თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის**
### წიგნის მაღაზიაში
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული
**სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური. ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ . . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა . . . . . „ 60 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა . . . . „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა . . . „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა . . . . „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა . . . . . „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჭარაიასი . . „ 15 „

(25—6.—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. ბობოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—419)

## ს უ რ ა მ ი
**გ. ა. მუხტის სახლში, შაბათს, 21 აგვისტოს გაიმართება**
### თამარ ძნელაძის
### კონცერტი
პეტერბურგის ახალ თეატრის მსახიობის რ. ვ. ჩაიკოვსკაიას მონაწილეობით (დეკლამაცია და სიმღერა (რომანსები).

ქ-ნი ჩაიკოვსკაია წაიკითხავს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის საპატივსაცემლო ლექსს. ადგილების ფასი 2 მ.—40 კ.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** (2—2)

## ქუთაისის ქალაქის თეატრი
**კვირას, 22 აგვისტოს გაიმართება**
### თამარ ძნელაძის
### კონცერტი
პეტერბურგის ახალი თეატრის მსახიობი რ. ვ. ჩაიკოვსკაიას მონაწილეობით დეკლამაცია და სიმღერა (რომანსები).

ქ-ნი ჩაიკოვსკისა წაიკითხავს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის საპატივსაცემლო ლექსს. ბილეთები იყიდება.

**დასაწყისი საღამოს 9 ს.** (3—2)

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
### „ალიონი"
ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.
(0—6.—9) ამხანაგობა „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილია.

**გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში**
## მიიღება ხელის მოწერა
## 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე
# დავით კლდიაშვილის
## სრულ თხზულებაზე
(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

**ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება**

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—12)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხუთ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—253)

## ქართული საზაფხულო თეატრი
შაბათს, 20 აგვისტოს, გაიმართება



### ჭიდაობა
### და დიდი სეირნობა
**დაუკრავს მემუსიკეთა ორი გუნდი.**

1. ინგლისური ბოქსი: მიხელ მაერი დაეჭიდება პეტერსონს. 2. კავკასიური ჭიდაობა: ჯიბგირი იჭიდავებს ქურხულთან. 3. ფრანგული ჭიდაობა: წითელი ნიღაბი იანოშ ნაჯისთან. 4. კავკასიური ჭიდაობა: შავი ნიღაბი რეიბერთან.

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფის სეანსები.
ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.
**ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79 (0—5.—129)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—49)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—199

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** გის ქუჩაზე იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება** დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—14)

## ახალგაზრდა ქალი
(სოფლის მასწავლებელი),
## ეძებს
ადგილს მაღაზიაში (კასირის), ბიბლიოთეკებში, აგრეთვე შეუძლიან ბავშვების მომზადება დაბალ კლასებში და სხვ. იკითხონ: ბაგრატიონის ქ., № 4, რომანოზ იარამოვთან. (2—101—1)

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირპიჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

**ქიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**
## აცხადებს
რომ სურს მსახიობი ქალი—გამოცდილი—სცენისათვის მთელის წლის განმავლობაში, წლიური ჯამაგირი 600 მანეთი და სრული ბენეფისი. მსურველმა უნდა მიმართოს თხოვნით, შეიძლება გამოგზავნა ფოსტით, ჭიათურა, გამგეობა ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

ამასთანავე სთხოვს წევრთა შემოიტანონ საწევრო ფული 1909 წლისა. წლიური კრება დანიშნულია 19 სექტემბერს. (3—3)

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**სარაჯ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოსვკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**აბელედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**ვეხელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**ფონდოვი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—87)

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მესამე სათათბიროს და ეხლანდელ მთავრობის ხასიათი არც ერთ საქმეში არ გამოჩენილა ისე ნათლად, როგორც ფინლიანდიის საქმეებში. ფინლიანდიის საკანონმდებლო დამოუკიდებლობა ეხლა აღარ არსებობს რუსეთის სახელმწიფოებრივ უფლების თვალსაზრისით. ეს დამოუკიდებლობა მისპეს. ფინლიანდიის სახალხო წარმომადგენლობითს დაწესებულებას, სეიმს, სათათბიროსაგან ახლად მიღებულ კანონის ძალით საკანონმდებლო საქმეებში მხოლოდ რჩევის ხმა-ღა აქვს. წინანდელ გადამწყვეტის ხმის ნაცვლად ეხლანდელ რჩევის ხმის დაწესება წარმოადგენდა განსაზღვრულ პოლიტიკის მხოლოდ დასაწყისს. იმავ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს რუსეთის მთავრობის შემუშავებული და სეიმში განსახილველად გადაცემული კანონპროექტი რუსეთის სხვა ქვეშევრდომთა უფლებრივ გათანასწორებაზე ფინლანდიის მოქალაქეებთან. ამ კანონპროექტის დანიშნულებაა, თანასწორ უფლებიანობის ლიბერალურ პრინციპის სახელით ფინლიანდიის ცხოვრებაში შეიტანოს რუს მოხელეების მმართველობა.

ამ კანონ-პროექტის შესახებ გაზეთი „რეჩი" სწერს: „უფლებათა გათანასწორების" ფორმულა—ასე ვთქვათ, საერთო ადგილი, ლიბერალური ტრუიზმია, რომლის წინაამდეგ ლიბერალურ ევროპასაც არაფერი ეთქმის, თუ პირი არ უბრუნა საკუთარს პრინციპებს. მაგრამ თუ „უფლებათა გათანასწორება" საერთო ადგილია, ახალი კანონ-პროექტი მეტად საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ფინლანდიის საქმეებში იგი მხოლოდ **ფუჭი საერთო ადგილია.** ფუჭი იმ აზრით, რომ არ არსებობენ ისეთი რეალური ინტერესები, რომლებისთვისაც საჭირო იყოს თავის შეფარება ამ ფორმულის ქვეშ. ეს თვით კანონის შინაარსიდან სჩანს. პირველი ნაწილი პროექტისა ლაპარაკობს გათანასწორებაზე უფლებებში რუსეთის ქვეშევრდომთა, რომელნიც ფინლანდიის მოქალაქენი არ არიან, და ადგილობრივ მცხოვრებთა; მაგრამ პროექტი საჩქაროდ სტოვებს „უფლების ამ დეკლარაციას," რომ გადავიდეს სხვა საგნებზე, რომელნიც უფრო „უუფლებობის დეკლარაციას" წარმოადგენენ. მეორე ნაწილი პროექტისა იმ პირთ, რომელთაც სწავლა რუსულ სასწავლებლებში მიიღეს, ანიჭებს იმავე უფლებებს, რაც მინიჭებული აქვთ ფინლანდიის სათანადო სასწავლებლებში სწავლა მიღებულთ, ან იმათ, ვინც სათანადო გამოცდა დაიჭირა ადგილობრივ წესების თანახმად. კანონ-პროექტის შუაგული ადგილი სწორედ ეს არის: ამიტომაც გამოყოფება უფლებათა საერთო დეკლარაციიდან და ამიტომაც მოიხსენება კერძოდ საიმპერიო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა უფლებები — უფლებები სახელმწიფო სამსახურისა, რა თქმა უნდა. სა ქმე ფინლანდიაში რუსის მოხელეების განწესებაა —აი რა არის დაფარული „უფლებათა გათანასწორების" ქვეშ. მაგრამ განა ეს მართლა უფლებათა „გათანასწორებაა". ცხადია, არა, რადგან გათანასწორება გამოყოფას და გამოცალკევებას არ შეიძლება მოითხოვდეს. ამ კანონპროექტით შეიქმნის განსაკუთრებითი უპირატესობა საიმპერიო სასწავლებელში კურს დამთავრებულთათვის. ფინლანდიის მოქალაქეს სამსახურში შესასვლელად მოეთხოვება დამთავრება ადგილობრივ სასწავლებლისა ან გამოცდის დაჭერა ადგილობრივ წესების თანახმად, რუსის მოხელეები კი ისეთებიც შეიძლება გაიგზავნოს, რომლებიც, თუ უბრძანებენ, „აკუშერობასაც" კი გასწევენ.

შემდეგ გაზეთი „რეჩი" შენიშნავს, ამ გვარ კანონს მოსალოდნელია რომ ხალხის მთელი ორგანიზმს გაუწევს წინაღმდეგობას, და ამიტომ საჭიროდ ჰხდება ისეთი კანონი, რომელიც სასჯელით ემუქრება „იმ ფინლიანდიელ მოხელეებს, რომელნიც შეგნებულად წინააღუდგებიან" განზრახულ გათანასწორებას. ასეთი დამსჯელი კანონი პროექტის უკანასკნელ ნაწილს შეადგენს, ხოლო ამ დამსჯელ კანონის ძლიერ მოქმედებისთვის პროექტი დაადგენს, რომ საქმეები ამ დანაშაულობის შესახებ ექვემდებარებიან რუსეთის საბრალმდებლო მოხელეებს და რუსეთის სასამართლოს. „რეჩის" ფიქრით, კანონ-პროექტის ეს უკანასკნელი ნაწილი ნათლად ამტკიცებს, რომ იმის შემდგენლებმა ძლიერ კარგად იციან თავის ნაწარმოების ნამდვილი ღირსება.

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
20 აგვისტო.
## საზღვარ-გარედ

**რომი.** აპულიაში ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 13.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიურო" შემდეგი ცნობას იტყობინება: სან-ჯულიანო იშლში ჩავიდა და ზალცბურგში ინახულა ერენტალი, რაც ნათლად მოწმობს იტ ლია-ავსტრო-უნგრეთის კეთილ განწყობილებას. მინისტრებმა ამასთანავე ურთი-ერთ განუზიარეს თავიანთი აზრები შესახებ პოლიტიკურ მდგომარეობისა თანამედროვე ევროპაში, კერძოდ შესახებ საქმის მდგომარეობისა ახლო აღმოსავლეთში. გამოირკვა, რომ ორივე სახელმწიფო ერთ მიზნისაკენ მიილტვიან, სურთ მშვიდობიანობის და არსებულ მდგომარეობის

დაცვა. კერძოდ ორთავე მინისტრებს იმედი აქვთ რომ ახალი წესწყობილება ოსმალეთში მის გაძლიერებას ხელს შეუწყობს.

**ბილბაო.** უწესობა ისევ არის. საღამოზე მოსულ გემებს წინადადება მისცეს, წავიდნენ. მთავრობამ გადასწყვიტა საალყო წესების გამოცხადება.

**ჰამბურგი.** გაფიცული მუშები გემების ამგები სახელოსნოებისა თანხმობა განაცხადეს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებაზედ მაგრამ ისევ უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე, როცა ადმინისტრაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ გირშდუნკერისეულ საქრისტიანო ეროვნულ მუშათა კავშირების წარმომადგენლებმა.

**სტამბოლი.** იმ ადგილებში, სადაც საალყო წესებია გამოცხადებული, სამხედრო მთავრობას ნება ეძლევა გაჩხრიკოს და დააპატიმროს საეჭვო პირნი და გაზეთები დაჰკეტოს.

**ბილბაო.** გაფიცვა ვრცელდება. პოლიციამ და ჟანდარმებმა მრავალი ხალხი დააპატიმრა. ქვევითა ნაწილი ქალაქისა ჯარებს აქვთ დაჭერილი.

**პეკინი.** ჩამოვიდა მანჯურიის ვიცე-კოროლი სილიანი და მოხსენება უნდა წარადგინოს შესახებ პროვინციისა და ფინანსიურ გაჭირვებისა ადგილობრივ ხარჯების დასაფარავად. ცნობა შესახებ სილიანის შენაცვლისა სხვა მოხელით უდროვოა, თუმცა პეკინს ჩამოვიდნენ ჩანკინის და ვუჩანის ვიცე-კოროლები.

უმაღლეს ადმინისტრაციაში დიდს ცვლილებას მოელიან.

**სტამბოლი.** იუსტიციის სამინისტრომ მიმართა ადგილობრივ გუბერნატორებს განცხადებით, სადაც არტისტს აცხადებს პატრიარქატის მოქმედების წინაალმდეგ და აღნიშნავს, რომ მცხოვრებნი თანახმად მთავრობის ბრძანებისა, მონაწილეობას არ იღებდნენ ბერძენთა ეროვნულ კრების წევრთა არჩევნებმა, მაგრამ სტამბოლსა და სხვა ქალაქებში ბერძენთა აგიტატორების ჩაგონებით უკანონოდ აირჩიეს ხალხი და აცხადებს, რომ ვინც, მოხელე და კერძო პირნი, მიიღებს მონაწილეობას ბერძენთა ეროვნულ კრებაში დაპატიმრებულ იქნება და სამართალში მიეცემა. საბერძნეთის ელჩმა 18 აგვისტოს ინახულა რიფაატ-ფაშა და ბოიკოტით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვა; განაცხადა აგრეთვე პროტესტი სალონიკიდან ბერძნების გაიძევრაობის წინაალმდეგ. რიფაატ-ფაშამ თხოვნა არ მიიღო და თავის მხრივ პროტესტი განაცხადა ვენიზელოსის და სხვა კრიტელების არჩევის წინაალმდეგ.

### ჰაერში ფრენა.

**მავრი.** 14 ავიატორი გადაფრინდა გავარსა და დავილეს შუა. ხუთი იმავ გზით დაბრუნდა და ორმა სამჯერ მოახერხა იქით და აქეთ გადმოფრენა.

### რუსეთი

**სიმფეროპოლი.** იალტინის მაზრაში ტყე რომ იწვოდა, ჩააქრეს. დაიწვა 500-მდე დესეტინა გერძო მესაკუთრის ტყე.

**ტაშკენტი.** გარდაიცვალა გულის სიდამბლისაგან ხივის ხანი.

**ორიოლი.** ბელხოვში 27 აგვისტოდან 1 ენკენისთვემდე იხსნება სასოფლო-სამეურნეო საშინაო-მრეწველო გამოფენა, რომელიც საყურადღებო ცენტრალურ რაიონის ექსპონანტების მრავალ რიცხოვანობით და სხვა და სხვაობით.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში წარსადგენად კანონ-პროექტები: ნება მიეცეს საადგილ-მამულო საგლეხო ბანკს განაგრძოს მიწების ყიდვა თავის ხარჯით; გადაიდოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების გასადიდებლად 1911 წლისათვის—1,000,000 მ.; 1912 წლიდან—1,600,000 მ.; მიეცეს სამრევლო სკოლების ასაგებად 500,000 მან. დაარსდეს სამრევლო სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთა საპენსიო კასსა, კვლევა-ძიება დაიწყონ შესახებ რკინის აგებისა მთავარ მთაგრეხილზე.

**რიგა.** სხვა და სხვა პირთა ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს სტამბის შრიფტი და წამალი, სარევოლიუციო წიგნაკები და რიგელ სოციალ-დემოკრატთა ბეჭედი. ორი დაპატიმრებულია; ერთმა გაქცევა სცადა, მაგრამ დასჭრეს და დაიჭირეს.

**პავლოდარი.** დაბა სინელნიკოვში გაძარცვეს 64.000 მ. პეტერბურგის საერთაშორისო ბანკის სააგენტო. სააგენტოს მცველი პოლიციელი და დარაჯი დააპატიმრეს, რადგან ეჭვი მიიტანეს რომ მძარცველებს ამხანაგობდნენ.

**ეკატერინოდარი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ტემრიუკელ ანარქისტების საქმე და ერთს 15 წლის კატორგა გადაუწყვიტა, ოთხს ათი წლის კატორგა, ორს ციხე 5 ნახ. წლით, ერთს 4 ნახ. წელიწადი. ერთი ბრალდებულთაგანი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** სასამართლომ არ შეიწყნარა საჩივარი 12 ებრაელ ოჯახისა, რომელნიც თანახმად 1271 მუხლის სასჯელთა დებულებისა ვოლოცკის საოლქო სასამართლომ გადასახლება გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლოს ბრალმდებულის არტისტის თანახმად გაუქმა ამ სასამართლოს დადგენილება შესახებ ერთის ბრალდებულისა სიკვდილით დასჯისა, რადგან არანორმალურად მიაჩნია. მას ბრალდებოდა მონაწილეობა რკინის გზის დარაჯის ბინაზე თავდასხმაში.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის და მოსკოვის კომერციულ ბანკების წარმომადგენელთა თათბირზედ სასურველად სცნეს პირველ ენკენისთვიდან გადახდა არა უმეტეს 3 პროც. ახალს გარდამავალ ანგარიშზე და არა უმეტეს $4^3/_4$% ახალს ანაბრებზე. შესახებ ძველ გარდამავალ ანგარიშისა და ანაბრებისა საკითხი ჯერ არ გადუწყვეტიათ. დაადგინეს იშუამდგომლონ წინაშე ფინანსთა მინისტრისა შესახებ სახელმწიფო ბანკის % შემცირებისა სარგებლიან ქაღალდებისა.

### შავი ჭირი.

**ოდესსა.** შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების გასაცნობად მოვიდნენ ექიმები პოლტავიდან, ტფილისიდან, სიმფეროპოლიდან, ნიკოლაევიდან, როსტოვიდან, ეკატერინოსლავიდან და სხვა სამხრეთ-რუსეთის ქალაქებიდან. პირველმა ბაქტერიოლოგიურმა გაშინჯვამ ორი შავი ჭირით საეჭვო ავადმყოფის გარდა ნიკოლაევში შავი ჭირი არ აღმოაჩინა.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** ერთი კვირის განმავლობაში ნოვოროსიისკში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 5; დონის-როსტოვში და ნახჩევანში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 13, ტაგანროგში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 8; ალექსანდროვსკში ავად გახდა 9, გარდაიც. 8, ოლქში ავად გახდა 1041, გარდაიცვალა 1032; პოლტავის გუბერნიაში ავად გახდა 209, გარდაიცვალა 85, იაროსლავის გუბერნიაში ავად გახდა 89, გარდაიცვალა 69.

ყაზანში ხოლერიანთა რიცხვი კლებულობს: ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3; მაზრებში ავად გახდა 162, გარდაიცვალა 63.

ერთს დღეში ავად გახდა 72 გარდაიცვალა 36, სამკურნალოებში 673-ია.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ **„სახალხო გაზეთის" რედაქციის გაჩხრეკა.** 19 მარიამობისთვეს გაჩხრიკეს ჩვენი რედაქცია. ჩხრეკა გაგრძელდა საღამოს 7—10 საათამდის. წაიღეს სხვა და სხვა სარედაქციო მასალა. გაჩხრიკეს აგრეთვე სტამბა, სადაც „სახალხო გაზეთი" იბეჭდება. სტამბის ჩხრეკის გამო გაზეთი თავის დროზედ ვერ დაიბეჭდა, რის გამოც მისი პროვინციაში გაგზავნა დაგვიანდა. გუშინდელი ნომრები პროვინციაში იგზავნება დღევანდელ ნომრებთან ერთად.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 19 აგვისტოს პეტრე-პავლეს ქუჩაზე ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს გორის მაზრის სოფელ ახბრევის მცხოვრები ირინა ბადალას ასული კუბაშვილისა, 35 წლისა. მისს ბინას შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ამ დღეებში კახეთს მიემგზავრებიან თავადნი დ, ე. ჩოლოყაშვილი და ლ. გ. ჯანდიერი. ესენი კახელ მემამულეებს და გლეხებს უნდა მოელაპარაკონ იმის შესახებ, რომ მათ კახეთის რკინის გზას თავისი მიწები უსასყიდლოდ დაუთმონ.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები.** დეპუტატი გეგეჭკორი, როგორც გავიგეთ, პეტერბურგში გამგზავრებას სექტემბრის შუა რიცხვებში, აპირობს ხოლო დეპუტატი კარლო ჩხეიძე პეტერბურგს მიემგზავრება დღეს, 21 აგვისტოს დილის მატარებლით.

✦ **სასამართლო.** გუშინ 21 აგვისტოს, ტფ. ქალაქის პირველ სამომრიგებლო განყოფილებაში დასრულდა ხრ. ხაჩატუროვის სტამბის ყოფილ მემანქანის კასაშვილისა და სტამბის პატრონ ხაჩატუროვის საქმის გარჩევა. კასაშვილმა ხსენებულ სტამბაში მუშაობის დროს შარშან მანქანაზე ხელი გაიფუჭა და ამიტომ სტამბის პატრონის ხაჩატუროვის წინააღმდეგ სასამართლოში სამოქალაქო წესით საჩივარი აღძრა. მომჩივნის მიერ ვექილად იყო ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი ხაზინი, ხოლო ხაჩატუროვის მხრივ—ნაფიცი ვექილი ბ-ნი ბუქშტეინი. მომრიგებელმა მოსამართლემ გუშინვე გამოაცხადა ამ საქმის გამო თავისი განაჩენი, რომლის ძალითაც ქრისტეფორე ხაჩატუროვმა უნდა გადაიხადოს კაკაშვილის სასრგებლოდ 750 მანეთი და ამას გარდა 50 მან. სასამართლოს ხარჯები.

✦ **სამართალში მიცემა.** ტფ. საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა სამართალში მისცეს ტფ. პოლიციის ყოფილი უბნის ზედამხედველი. ბორისოვი სამსახურის დროს დაუდევრობისთვის.

✦ **გადასახლებული.** 19 აგვისტოს კახეთის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო ბორჩალოს მაზრის მცხოვრები მანუკ მელკონის ძე მელკონოვი, რომელიც გადასახლებული იყო ადმინისტრატიულის წესით და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **პანაშვიდი გორში.** 19 აგვისტოს ნ. გაბუნია-ცაგარლის დასაფლავების დღეს გორის საკრებულო ტაძარში გორის სამღვდელოებამ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ დეკ. ი. კაპანაძემ მოკლე მშვენიერ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას გააცნო განსვენებულის დიადი ღვაწლი და სამსახური. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **ხოლერა თიანეთის მაზრაში.** თვე ნახევარი შესრულდა, რაც ერწოს სოფლებში ბახტრიონში, ხევსურთ-სოფელში, თოლენჯში და სვიმონიათ-ხევში მეფობს ხოლერა. სულ იმსხვერპლა 45—50 კაცამდე. ორი ადგილობრივი ექიმი თუმაჯანოვი და ბერეჟიანი, მოვიდნენ, ნახეს ავადმყოფები, დაამტკიცეს, რომ ხოლერა იყო, და დაბრუნდნენ თავიანთ სახლში. გამოგზავნეს სამი ფერშალი. ერთი მეორე დღეს შიშით გაიპარა, მეორე დარჩა, მაგრამ შიშით ავადმყოფებს არ ეკარებოდა, რაღაცაზე უჯავრდებოდა გლეხებს და კიდევაც სცემეს. ფშავ-ხევსურეთის ფერშალსვ თელიას ძალიან ემადლიერებიან გლეხები, გულიანათ ეკიდება საქმესო. გლეხებმა თავისი ინიციატივით შეკრეს თავიანთი სოფლები და ხალხს არც იქეთ უშვებდნენ, არც აქეთ. ნახევარ სოფელი სულ ტყეში გაიხიზნა და პური ბევრგან მოსამკალი დარჩათ; ზოგმა მომკილი პური წაიღეს ტყის პირას კალო გააკეთეს და იქ ჰლეწვენ.

✦ **დეპუტატების წასვლა.** გუშინ პეტერბურგს გაემგზავრნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კ. ჩხეიძე და ე. გეგეჭკორი. მესამე დეპუტატი საქართველოდან თავ. შერვაშიძე ამ ჟამად აბასთუმანში იმყოფება და მოკლე ხანში ისიც გაემგზავრება პეტერბურგს.

✦ **ტფილის ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები.** ხმოსნების ერთი ჯგუფი ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატად ასახელებენ მომრიგებელ მოსამართლეს ჩაჩიბაიას.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ნება მიეცეს სოფ. ბახვში (გურიაში) წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს გახსნისა.

✦ **ხოლერის ვიბრიონები წყალში.** ხუთშაბათს სამხედრო-საექიმო ლაბარატორიის გამგემ ბ. ლუნკევიჩმა საინტერესო ცნობები გაუგზავნა ქალაქის თვითმართველობის შესახებ ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევისა ტფილისში სასმელ წყლისა. ერთ წყაროში, რომელიც პეტროვის შესახვევის ბოლოშია, აღმოჩენილა დიდი რიცხვი ვიბრიონებისა. ავჭალის წყლის საყვანში კი თუმცა ნამდვილი ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩენილა, მაგრამ ხოლერის მსგავსი ვიბრიონები კი მრავლად ყოფილა.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** გუშინ, 20 აგვისტოს, ქალაქის სასანიტარო კომისიამ უბნის ბოქაულის ვაკულის თანადასწრებით ქალაქის მეთიე უბანში დაათვალიერა.

# ჩანგის კვნესა

მელოდია.

სიბნელეს, სიჩუმეს და მოწყენას დაესადგურათ ერთ პატარა ოთახში.

ნახევრად მიმქრალი სანთელი უმანკო გულივით ჰფეთქავდა გარს-მოხვეულ სიბნელეში. სუსტი, ლამაზი შუქით შეუპოვრად ებრძოლებოდა ღამის წყვდიადს, მის სიპირქუშეს.

მის მკრთალი შუქი წყნარად, მორცხვად ეფინებოდა პატარა ოთახს და როგორც ნისლში—მისებრ მკრთალად მოსჩანდა ყველა.

იქვე კუთხეში მგლოვიარეზედ თითქოს მოწყენით იდგა ტახტი. მასზე იწვა მომაკვდავი ვინმე ასული. თითქოს მძლავრ ცეცხლზე ჩაფერფლილიყოს იმისი ტანი—მხოლოდ ჩონჩხებად ძლივს მოსჩანდა საბნის ქვეშიდან.

მის ტურფა მკერდი, ავადმყოფობით სულ მიმქრალი, განაზებული, —სანთლის შუქიდან თავის სიმკრთალით ვერ ერჩეოდა. თითქოს ჰკმაროდა წყნარი ქარის ნელი შერხევა, რომ სამუდამოდ გამსჭკნარიყო მისი მშვენება.

ვით შავ ღრუბლებში, გარს მოხვეულში, მის ნაზი სახე ჩამალულიყო გიშრის-ფერ თმაში. მართალი ბრის—თვალნი სუსტდებოდნენ ბნელის წინაშე, მაგრამ გული კი—ეს სიბნელეშიც მარად მხედველი, კარგადა ჰგრძნობდა მის სიტურფეს, მის წარმტაცობას, თუმცა სხივ-კრთომა მის მშვენების შესუსტებულა.

მკრთალი სინათლით მოღიმარე, სუსტი სიბნელით მგლოვიარე სიჩუმემ შეუმჩნევლად ჩაჰყლაპა კიდევ რამდენიმე წამი.

**წყნარად გაიღო კარი და სიფრთხილით შემოვიდა ჭაბუკი ვინმე.**

თითქოს სიჩუმის სიმბოლოო, ისე უჩინრად მიუახლოვდა მომაკვდავ სატრფოს. ხარბად დაჰხედა მის მიმქრალ სახეს—თითქოს იგი მისჩერებოდეს თვის მთელ სიცოცხლეს. ნაზად შეჰხედა,—თითქოს თვალწინ ანგელოზი იტანჯებოდეს და მწუხარ გრძნობად მოეხვია თვის სატრფოს სახეს,—თითქოს უმანკო, ტურფა ვარდი იფერფლებოდეს.

**იგი იწვა ისევ წყნარად, წარბ-შეუხრელად.**

ჭაბუკს კი მკერდი გადაექცა ზღვის ნაპირებად და გული მისი დაემსგავსა ზღვას აზვირთებულს.

სატრფოს თვალებში უცნაური სიმშვიდე ჰკრთოდა: იგი არ ჰგავდა ამ ქვეყნიურ იდუმალებას,—მასში განგებას ჩაენერგა თვის ძლიერება.

ჭაბუკის თვალნი კი ვით ცეცხლი ღვთისა, ვით ელვა ცისა, ისე ალდენთენ; თითქოს სწყუროდათ ცეცხლად და ელვად გარდაექმნათ სატრფოს სიწყნარეც, შიგ ჩაეფერფლათ მისი ტანჯვა, მისი სიმწარეც...

ღელვა გულისა—სატრფოსაკენ იწვევდა ჭაბუკს.

გრძნობა ტრფობისა—იმის მკერდზე ჰნატრობდა კვნესას.

მთელი არსებით მას სწუროდა სატრფოსთან ერთად ერთ გრძნობად დუღილი, ტანჯვა და წუხილი; ერთ აზრად ჩაქსოვა შორს საფრენად და საოცნებოდ; ერთ არსად გარდაქმნა სასიცოცხლოდ და სასიკვდილოდ.

ხელნი განაპყრო—მოჰხვეოდა თავის სიცოცხლეს; მიუახლოვდა—ჩაჰკონებოდა თავის ანგელოზს, მაგრამ შეჩერდა, ძირს დაუშვა ხელნი მთრთოლვარე; გულში ჩაიკლა, ჩააჩუმა გრძნობა მღელვარე; თვალებს შეაშრო, შეალია ცრემლი მდუღარე.

ვაი, თუ მის სიახლოვით აკვნესდეს გული სატრფოსი! ვაჰ, თუ მის ხელთა შეხებით გასწყდეს უკანასკნელი სიმი მის სიცოცხლის ჩანგისა! ვაჰ, თუ მის ძლიერის სუნთქვით საუკუნოდ ჩაჰქრეს სუსტად მბჟუტავი მისი ლამპარი!

არა! ისევ წყნარად იწვეს სატრფო! ისევ მშვიდად ეხუჭონ თვალნი მისნი ისევ დუმილით მეტყველობდენ ბაგენი მისნი!

ეს ერთი სიმი, ეს ერთი სხივი, დაე-მეტ-ხანა სდუმდეს, მეტ-ხანა მკრთალობდეს, თუ მისი ახმაურება მისი გასხივოსნება იქნება მისთვის სამარადისო სიჩუმე, განუყრელი სიბნელე...

—

მაგრამ, რომელი მიჯნური შესძლებს, შეაჩეროს კვნესა გულისა, ოდეს სატრფო იტანჯება განუკურნავად?

ვის ძალ-უძს შეჰბოჰქოს გრძნობა ტრფობისა, ოდეს მის ღელვა ძლიერია თვით ზღვის ღელვაზე და მისი შფოთვა უფრო სწრაფი თვით ქარიშხალზე?...

გულმან მიჯნურისამ ვის უთხრას საამო მოგონებანი?... ვის მოუთხრას ნეტარი ოცნებანი?... ვის უამბოს ზღაპარნი წარმტაცნი სიყვარულისა, ოდეს სატრფო მომაკვდავად სდუმს; სდუმს და—სჭკნება სჭკნება და ჰქრება, და თავის სატრფოს საუკუნოდ ემშვიდობება...

**მაგრამ ქნარი?**

განა იგი არის გამქარვებელი ტანჯვისა, ოდეს ცრემლებს აღარ ძალუძთ თვალთაგან დენა და ტანჯვაშივე ილევიან, მასშივე ჰქრებიან?...

იგი ამოსთქვამს საამო კვნესად სევდას გულისას; თვითაც იკვნესებს, სხვასაც აკვნესებს, დასწვავს, აკრემლებს; ეტყვის ქვეყანას, ასმენს ღრუბლებს, ცასა და სულებს—თუ რათ აკვნესდა, რას გამოსთქვამს იმისი აკვნესდა...

ქნარი—გულიაკაცისა. მისი ძღერა კი—აცრემლება გულში ნადების.

მისი ჰანგი—ეს ქვეყნად მომდინარე ცრემლია... შორეული კვნესა... კვნესა და სიამე, კვნესა და სიცოცხლე, კვნესა და სიკვდილი...

**მისწვდა ჭაბუკი კედელზე ჩამოკიდულ ქნარს.**

თუ სატრფოს მკერდზე ვერ აღმოსთქვამს ის თავის გრძნობათ, რომ არ დასტანჯოს, არ შეაშფოთოს,— ჰანგზე აკვნესებს და სატრფოს ალერსს, მასთან ღიმილს, მასთან ცრემლთაღვრას კვნესადვე აქცევს და ამ კვნესას სატრფოსაც ასმენს.

წყნარად და სუსტად ციმციმებდა სანთელი ბნელში.

სუსტად და აჩრდილად მოსჩანდა სნეული ამ სიმკრთალეში, თითქოს ციური ანგელოზი, ბინდი-ბუნდში ქვეყნად მოვლინებოდეს.

ჭაბუკის ხელში კი ახმაურდა ქნარი, ქნარი მკვნესარე, ქნარი მგზნებარე, ქნარი მწველი და მხსნელი გულისა.

მისი ხმა მოისმოდა წყნარად, შორიდან, თითქოს საღამოს ნიავმა ფრთხილად შემოუქროლა დაბურულ ტყესო; თავისავე წყნარად, საამოდ აახმაურა იგი და ხეთა რხევანი, ფოთოლთა შრიალი, ჩურჩული, სისინი ტკბილად და მხიბლავად მოუთხრობდენ მას წარმტაც ზღაპრებს სიყვარულზე, გმირობაზე, მეგობრობაზე, რომელნიც სმენიათ მრავალ ქართაგან, ნიავთაგან ათასის წლობით; მრავალჯერ ჩამარხულან დავიწყებად გამხმარ ფოთლებში, მრავალჯერ აღმდგარან ისევ მკვდრეთით მწვანე ფოთლებად, ნორჩ ტოტებად, ტყისა მშვენებად...

სიმების წყნარი ნელი ბგერანი მოაგონებდენ მაისის წვიმას, მშვიდსა და საამოს, გრილსა და უწყინარს, ველ-მინდორისთვის სიცოცხლის მიმნიჭეს.

ან კიდევ მშვიდა, მძინარ ბავშვივით მშვიდი ზღვის ნაპირს, რომელიც ცელქად, გრძნობით, ლაქუციით ეჩურჩულება ქვიან ნაპირებს და ლამაზ კენჭებს, პატარა კენჭებს მოუსვენრად მიმოაგორებს და ამ გორვაში ისმის ჩანგის ხმა იდუმალი და მრავლის მთხრობელი.

მაგრამ, არა! უფრო ძლავრი და იდუმალი იყო ჭაბუკის ხელში ჩანგის წყნარი ხმა. მის შესადარად ამ ქვეყნად არაფერია, გარდა მისებრივ ჩანგისავე საამოდ ძღერა.

მისი ხმა იყო გალობა ციურთა, ზღაპარი შეყვარებულთა, რომელსაც ისმენენ ღამის სიბნელეში, ცაზედ ცქერაში, ვარსკვლავთა ჭვრეტაში და ოცნებაში...

ეს ჩანგის ხმა იყო ჭაბუკის გრძნობა; ეს ჩანგის ხმა იყო მის ბაასი და მოგონება.

**რას ბაასობდა? რას იგონებდა?**

„სატრფოვ ციურო! გაახილე სუსტი თვალები! გაშალე ფრთანი ოცნებისა წარმოდგენისა და გადავფრინდეთ შორს, — წარსულში,— განვლილ დღეებზე...

გახსოვს როდესაც პირველის ნახვით ორთავე ერთად მოვიხიბლეთ და შვებას ვგრძნობდით, ვსტკბებოდით, ვხარობდით როგორც პეპელა მაისის დღეში, მზიანსა დღეში—ყვავილთა შორის?..

მთვარიან ღამეს ვარსკვლავთ მოწმობით ორთავე ერთად ვიჯექით ხის ქვეშ; მე გიამბობდი უცნაურ ზღაპრებს და ყურს ვუგდებდი შენ გულის ცემას.

შენც ნიავივით ჩამჩურჩულებდი შენსა სიყვარულს და ჩემს თვალებში ჰკითხულობდი შენ გრძნობის პასუხს...

ერთმანეთისა ჩურჩულში, ბაასში, ერთმანეთისა სმენაში, ცქერაში ორთავე ვსთვრებოდით, ორთავე ვსტკბებოდით, თავბრუ გვესხმოდა და ვნეტარობდით.

შენ, ჩემო ტურფავ! გახსოვს ერთხელ ამ სიამის დროს რომ გიამბე უცხო ზღაპარი, თუ ჭაბუკის ძლიერი გრძნობა როგორ იქცა სიყვარულად, სიყვარული—კოცნად, კოცნა—კვნესად, კვნესა—ჰანგად, და ჰანგი იგი დაჰქროდა ხალხში, სწვდებოდა გულში და უამბობდა ქვეყნიურ ამბავს?...

მაგრამ... ოჰ, ტანჯვავ!—აწ რაღას მარგებს მოგონება მზიანის დღისა, სიხარულისა, გაზაფხულისა?"...

**აქ შეიცვალა ჩანგის ძღერა, სიმთა ბგერანი.**

თითქოს საამო ნიავის ნაცვლად შემოდგომის ცივმა ქარმა დაუბერაო და მრავლის მთხრობელნი, მოშრიალე ხისა ფოთოლნი ძირს ჩამოჰყარა. შორს გაჰფანტა ტიალ მინდორზე; არც იქ დასტოვა,—გადაჰქროლა უდაბნოებზე და ამ ქროლვაში მტვრად აქცია ფოთოლნი ხისა.

ეს ხმა სწორედ შემოდგომის წვიმის ხმა იყო. ეს ხმა სწორედ შემო-

ვაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი. კომისიამ ბევრგან უსუფთაობა აღმოაჩინა და შესაფერი ოქმები შეადგინა. ერთი სახაიე, ერთი საკანდიტერო და ერთიც სასმბო იმდენად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ კომისიამ სულ დაჰკეტა.

**ხოლერიანთა რიცხვი.** 19 აგვისტოს დილის 9 საათიდან 20 აგვისტოს დილის 9 საათამდე სანიტარო სამკურნალოთა ინსპექტორის ცნობით, ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—17 ავადმყოფი, მოკვდა—6, მორჩა და გამოეწერა—5, დარჩა—19.

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად „თეატრი და ცხოვრების"** რედაქციამ დაადგინა—გვირგვინის მაგიერ, სოფლის ორს ბიბლიოთეკას უგზავნოს ჟურნალი მთელის წლით.

**თვითმკვლელობა.** ერევნიდან გვწერენ, რომ 19 აგვისტოს დილის საათზე თავის სადგომში ნახეს ალექსანდრე სმირნოვი, რომელსაც თავი მოეკლა.

**მატარებლის აცდენა ლიანდაგიდან.** 19 აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზე ტყიბულის რკინის გზის შტოზე მატარებლის მეორე ვაგონი ღერძის მორგვის მოშვებისაგან რელსს გადასცდა და ჩამოვარდა. ამ ვაგონის მაგიერ მატარებელში სხვა ჩააბეს, გზა არ დაშავებულა და უბედურება არაფერი მომხდარა.

**სანიტარულ-ალმასრულებელ კომისიაში.** როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ქალაქის ზოგიერთ გარეუბანში ადგილები იმდენად ანტისანიტარულ მდგომარეობაში ყოფილა, რომ შესაძლებელია იქ ხოლერა უცებ გაძლიერდეს. ამას გარდა მცხოვრებნი მოკლებულნი ყოფილან რიგიან სასმელ წყალს. ამის გამო ქალაქის სანიტარულ-ალმასრულებელ კომისიას გუშინ წინ, 19 აგვისტოს საგანგებო კრება ჰქონდა, კომისიამ შეიმუშავა ზომები ამ ადგილებში ხოლერის გაძლიერების წინაალმდეგ. სხვათა შორის, დაადგინა, ახლავ შეუდგეს ამ უბნების გასუფთავებას და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს იქ წყლის მილი.


„სახალხო გაზეთის" კანტორა

აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე" ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. „სახალხო გაზეთის" კანტორა.


**საკვირაო სკოლა სამტრედიაში.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ინიციატორობით კვირას 5 დეკემბერს დაიწყება სწავლა საკვირაო სკოლაში. ბინათ ექმნება ადგილობრივ სავაჭრო სამინისტროს სკოლის შენობაში. გამგე სკოლისა არის ბ. ა. ნაჭყებია.

**სოხუმში.** საადგილ-მამულო გადასახადების გამწერმა საოლქო საკრებულომ დაადგინა გაამრავლოს სოფლად სამკურნალოთა რიცხვი, გახსნას ახალი საფერშლო პუნქტები და ორი სასოფლო სკოლა.

**კავკასიის ნამესტნიკს** ნახევარ წლით კიდევ გაუგრძელეს ვადა საგანგებო უფლებებისა და მშვიდობინობის დაცვისა რათა წესიერი მიმოსვლა სწარმოებდეს კასპიის ზღვაზე.

**ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა** უბნის ბოქაულებს და მაძებარ პოლიციის უმფროს სასტიკი ზომები მიიღონ 17 აგვისტოს ტფილისში უგზოდ დაკარგულ ტფ. სავაჭრო მეორე გიმნაზიის მოსწავლის ნიკოლოზ იაგორის ძის ანტონოვის მოსაძებნად.

**19 აგვისტოს** საერთო ხმრეკსადაპატიმრების დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 23 უპასპორტო.

# ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება

**როგორც საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, ისე რუსეთის ქალაქებიდან მრავლად მოდის დეპეშები ჩვენს რედაქციაში ნ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო. ვბეჭდავთ ზოგიერთს მათგანს.**

## დეპეშები

**ახალციხე.** ახალციხის ქართველი საზოგადოება დიდად დანაღვლიანებული ქართული სცენის მშვენიერის და ნიჭიერ მსახიობის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის დაკარგვით. უერთდები ქართველი ერის საერთო მწუხარებას.

ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

დეკანოზი **დიმიტრი ხახუტაშვილი.**

—

**ქარელი.** დიდად დამაღონა ჩვენი სამშობლო სცენის მძიმე დანაკლისმა.

**ქაიხოსრო გელოვანი.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის ახალგაზდათა ჯგუფი სწუხს ქართულ სცენის სიამაყის, ნატო გაბუნიას დაკარგვის გამო.

**პ. იაშვილი.**

—

**გარგარინი.** თქვენთან ერთად ვსტირით ძვირფას ნატოს დაკარგვას.

**მარიამი და ნინა ქართველიშვილები და ქეთო ყიფიანი.**

—

**ჭიათურა.** ჭიათურის განყოფილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა დიდს მწუხარებას აცხადებს ქართულ სცენის ბურჯის და სიამაყის, დიად ნიჭიერ ნატალია მერაბის ასულის გარდაცვალების გამო.

—

**ქუთაისი.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა დიდად გულდამწვარია ქართულ სცენის მშვენების, ნიჭიერ გაბუნია-ცაგარლის დაკარგვით და უერთებს საერთო მწუხარეობას. **ბაქრაძე.**

—

**ჭიათურა.** ვუერთდები სამშობლო სცენის მწუხარებას. რომელმაც დაჰკარგა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო ძალა, დიდად პატივცემული ნატალია მერაბის ასული, დაუვიწყარი ხანუმა, მაძიებელი მშვენიერების და სიკეთისა.

**კიტა აბაშიძე.**

—

**ნოგოითი.** დიდათ შემაწუხა ქართულ სცენის უნიჭიერეს არტისტ ქალის ნატოს დაკარგვამ. ვუერთდები საერთო მწუხარებას. **ტ. ართმელიძე.**

—

**ბაქო.** დიდათ შეგვაწუხა სამგლოვიარო ამბავმა სამშობლო სცენის ბურჯის ნიჭიერი ნატალია გაბუნია-ცაგარლის დაკარგვამ.

ბაქოს დრამატიულ საზოგადოების სცენის მოყვარულნი **დავით შველძე, ლადო და არტემ ახობაძენი, გიგა მატრაძე.**

—

**სიღნაღიდან:** შეუდარებელი ნიჭით ალქურვილის სამშობლო სცენის მსახიობის ნატალია გაბუნია-ცაგარლის დაკარგვამ დიდად დაგვაღონა სიღნაღის ქართველობა. დავკარგეთ სამშობლო სცენის უძვირფასესი დამამშვენებელი მარგალიტი; ვტირით და ჩვენს მდუღარე ცრემლს უერთებთ მთელ საქართველოს ცრემლებს.

# სიტყვები

## I

**ვლ. ალექსი მესხიშვილისა:**

ძვირფასო დაო, და ამხანაგო ნატო!

ნეტავი შეგეძლოს შეხედო და დაინახო ეს კედლები, რომლებიც ჩვენ თანაგვიგრძნობენ მწუხარებას და გიგლოვენ შენ! მწამს, რომ შენი სამუდამოდ ჩამქრალი გული ძალა-უნებურად დაიწყებს ძგერას იმ ადგილის დანახვით სადაც ოცდა-ათი წლის განმავლობაში ატკბობდა და აძგერებდა მაყურებელთა გულს. ამ ქვებს რომ შეეძლოთ ლაპარაკი,—დაატკბობდნენ ყურთა სმენას აქ მოგროვილ ხალხისას, რომელიც მოვიდა შენთან გამოსასალმებლად. შენ მორჩი ამ ქვეყნის ტანჯვავებას, მაგრამ შენი ძველ ამხანაგების გულში ამოუფხვრელი კვალი დასტოვე. მხოლოდ ერთს საყვედურს გეტყვით: რად დაგვაობლე, რად დასტოვე უნუგეშოდ ისედაც უბედური ჩვენი სამშობლო სცენა?

რად დაგვიობლე ჩვენი ვასო, რომელიც დაგტირის თავსა? ვინ ეყოლება გვერდით უღელში, იმ მძიმე, მაგრამ მშვენიერ და ძლიერ უღელში, რომელსაც ორთავენი ერთგულად ეწეოდით? შენ გადახვედი საუკეთესო, საუკუნო ცხოვრებაში და ჩვენ ცოცხალნი, აქ დარჩენილნი შენი ამხანაგები გემუდარებით მოტევებასა, თუ რამე შეგცოდეთ და გაწყენიეთ.

შენც შეევედრე ყოვლად შემძლებელს ღმერთს, შეგვიბრალოს, ისმინოს შენი ლოცვა-ვედრება და მოგვივლინოს შენი რამ მსგავსი.

მადლობით აღჭურვილი შთამომავლობა, მთლად საქართველო საუკუნოთ იხსენიებს შენს დიადს ღვაწლს სამშობლოსადმი. იძინე, განისვენე, მშვიდობით...

## II

**იოსებ იმედაშვილისა.**

ქართული თეატრის დედოფალო, სამშობლო სცენის მშვენებაო. მოკვდავ ხატებათა უკვდავად გარდამქმნელო! ეგოდენ საზოგადოების დუმილით გამოხატულ მწუხარებას რაღა უნდა შემატოს ჩემმა უბრალო სიტყვამ?..

მაგრამ მე მაინც მინდა აღვნიშნო შენი ერთი თვისება, რომელსაც მოკლებულია ჩვენი საზოგადოება; თვისება, რომელსაც ვერა გრძნობენ ჩვენი საზოგადოების წევრნი.

ეს იყო შენი შეუდრეკელი რწმენა თავის თავისა, ურომლისოთაც არც ერთი ადამიანი სრულ კაცად არ ჩაითვლება...

შენ გწამდა, რომ დიდებულს საქმის შესასრულებლად იყავ მოწოდებული და ეს საქმე შეასრულე კიდეც...

შენ ისეთ დროს დაიწყე სასცენო მოღვაწეობა, როდესაც ქართული თეატრის მსახიობნი ბიჭ-ბუჭებად იყვნენ მიჩნეულნი და თეატრი სამასხაროდ დასახული, მაგრამ შენმა ნიჭმა სძლია საზოგადოებრივ გულციობა და გამარჯვებულიც გამოხველ ამ საქმეში...

ოც და-ათი წელიწადი ემსახურე სამშობლო სცენას და დიდებული საქმეც შეასრულე...

დიდებული საქმეა ეროვნული თეატრის შექმნა და ამ თეატრის ერთი შემქნელთაგანიც შენა ხარ... მაგრამ, ნამაგდარო მუშაკო, ნუ თუ არ იცოდი, რომ შენი სიკვდილი უდროვო იყო...

ძვირფასო დედაო, ნუ თუ არ იცოდი, რომ ქართველ ქალს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა სამშობლო ქვეყნის წინაშე? ნუ თუ არ იცი, რომ ქართველ ქალს რწმენა გაჰქრობია და არარად ქმნილა?!..

რად მიგვატოვე ასე ადრე?!

ქართული სცენა დაობლდა, ჩანელდა მისი სამსხვერპლო დროებით მაინც...

მაგრამ „თეატრი და ცხოვრების რედაქცია" დარწმუნებულია, რომ ის ერი, რომელმაც შენ და შენისთანა სამი-ოთხი მსახიობი წარმოშობა, მომავალშიაც არ მოგვაკლებს თავის მოწყალებას...

დედაო, შენ არა ხარ მკვდარი; —არ არის მკვდარი, ვინც „დიდის" ღმერთის საკურთხეველს უძღვნა სიცოცხლე თვისი...

განისვენა შენმა ნაამაგდარმა სხეულმა...

დედაო, თუ **საიქიო** არსებობს, თუ **იქ** არსებობს, იმ ქვეყნიური ცხოვრება, ილოცე, ილოცე ჩვენთვის, რომ ჩვენს დაობლებულ სცენას შენისთანა თუ არა—შენი ანარეკლი აჩრდილი მაინც წარმოუვლინოს...

მშვიდობით დიდებული საქმის მესვეურო, ქართული სცენის ვარსკვლავო და მშვენებაო, მშვიდობით, ჩვენო აღმზრდელო დედაო...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

# სოფლის მასწავლებლები საგრალმდებლო სკამზე

ამ უკანასკნელ დროს გაზეთებში ძლიერ გახშირდა ლაპარაკი სოფლის მასწავლებლების შესახებ. მათ ბევრ რამ დანაშაულობას უსაყვედურებენ: სკოლაში სამშობლო ენის შესახებ. ბრალი უფრო მშობლებს უნდა დაედოს, ვიდრე მასწავლებლებს: მშობლები ხშირად ამბობენ სკოლისადმი საყვედურს, რომ იქ რუსულ ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე „ქართული ენისას", რომელიც გამოუსადეგარი იყოს. საქართველოს იმ კუთხეშიაც კი, რომელიც კულტურულად დაწინაურებულად ითვლება სხვა მხარეებთან შედარებით, გურიაში, ხშირად შეჰხვდებით ამის მაგალითს: „ქართული ენა და „დედა ენის" კითხვა მე კაი ხანია კარგად ვიცი, მაგრამ ეს ჩემთვის გამოუსადეგარია. ბავშვს სკოლაში იმიტომ ვაბარებ, რომ ორიოდე რუსული სიტყვა ისწავლოსო". ცხადია, რომ მასწავლებელი ამ შემთხვევაში მშობლებს კი არ უნდა აჰყვეს ქება-დიდების მისახვეჭად, არამედ უნდა ჩაუნერგოს მას სამშობლო ენის უპირატესობის აზრი. მასწავლებლები ვალდებულნი ვართ პირნათლად დავრჩეთ ქვეყნისა და მოვალეობის წინაშე. მაგრამ როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში, ისე „სოფლად უმოქმედობაში" უმთავრესი მიზეზი თვით მასწავლებელთა ყოველმხრივი უმწეო მდგომარეობა არის. დაწვრილებით იმაზე არაფერს ვიტყვი, რადგან „სახალხო გაზეთის" ერთ წარსულ ნომერში უკვე იყო მოთავსებული წერილი „სახალხო მასწავლებლის", სადაც ნათლად არის დახასიათებული მასწავლებელთა ყოფა ცხოვრება: ერთი მეორესაგან დაშორება, აზრთა გაუზიარებლობა და სხვა.

ამ მძიმე პირობებთან ერთად ზემოდ აღნიშნული შეხედულება მშობელთა წრეებისა მასწავლებლების მძიმე მოვალეობას უფრო კიდევ მეტად აასკეცებს.

**ქალაძე.**

# მოწერილი ამბები

**მდ. ფრონის ხეობა.** სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება მდ. ფრონის ხეობა და დიდ გაჭირვებას განიცდის იგი ამ ჟამად, როცა საშიში ეპიდემიური სენი ხოლერა გვეწვია. ჩვენ დაბა-ქალაქებში კიდევ ემზადება ცოტაოდენი მზადება ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ სოფლები სრულიად მოუმზადებლად ხვდებიან მას. თუმცა ხოლერას ჯერ ვერსად არ უჩენია თავი, მაგრამ შესაძლებელი კია იმისი ფართო გავრცელება, რადგან სამისოდ ნიადაგი მომზადებულია. სისუფთავეს არავინ ჰქდარაჯობს, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე ათასნაირ სიბინძურეს შეჰხვდებით; სიღარიბე და შიმშილ-სიტიტვლე ხომ კიდევ მეტად უწყობს ხელს ხოლერის გავრცელებას.

ამ ჟამად ხოლერა მძვინვარებს შემდეგ სოფლებში: ძეგლეთში, სადაც თითქმის 15 სულამდე იმსხვერპლა, ატოცში, ბრეძაში, ქვა თეთრში და ოსების რამდენსამე სოფლებში. ქარელიდან ერთი ფერშალი დანიშნული ამოდენა სოფლებისთვის და ისიც ხალხის ფიქრით უგიცი და მოუმზადებელია. ხოლერიან სოფლებს ძლივს ათასში ერთხელ ნახულობს ფერშალი, ზოგი სოფელი კი ამ დახმარებასაც მოკლებულია და არსაიდან საშველი არ გააჩნია გარდა თავის თავისა.

რასაც ხოლერა აკლებს ჩვენს დაბეჩავებულს სოფელს იმის სამაგიეროდ სხვა და სხვა სენი უსრულებს. იშვიათად ნახავთ ისეთ სოფელს, რომ ციებცხელება და მუცლის ავადმყოფობა არ იყოს მოდებული. თითქმის ყოველ ოჯახში კვნესის მთლად ჩამოყვითლებულ-ჩამომდნარი ავადმყოფი, მაგრამ მშველელი არსაიდან არის. თვითონ სოფლებში ექიმი არ მოიპოვება, მოწვევა კი ან ცხინვალიდან, ან ქარელიდან, ისე ძვირი ჯდება, რომ გლეხი ვერ უძლებს ხარჯს და იძულებული ხდება უექიმოდ დარჩეს. მაგალითისა-

—

...გომის ჯეჯილის სისინს მოაგონებდა: ცივსა და უძლურს, ნატვრით ავსეს და უიმედოს, ძლიერ ქარისგან აღელვებულს და შეშფოთებულს.

იგი იყო ცის გლოვა ღამეში, ღვა—ბნელში, ვედრება ტანჯვაში. მათში ისმოდა ხმა ბავშვის ქვითინისა, კვნესა მიჯნურისა, ხვეწნა მლოცველისა:

„ჩემ ჩანგის ჟღერა—ჩემი კვნესაა; მის სიმთა თრთოლა—ჩემ ცრემლთა დენა შენ გევედრები ჩემო ბუგეშო ნუ დაჰხუჭ თვალებს, ნუ დამაბრმავებ! ნუ შესწყვეტ შენ გულისცემას—სიცოცხლეს ნუ მართმევ!...

ვის შევსჩივლებ უშენობას? ვინ გაიგებს ჩემ გულის ტკივილს?

მე შენ შემდგომად რაღად ვიცოცხლო,—ნუ თუ იმიტომ, რომ შენ საფლავზე მინდვრის ყვავილნი ცრემლებით მოვრწყო და ავაყვავო?

ნუ თუ იმიტომ, რომ ვიკვნესო შენის სახელით და ქართა ქროლვით ქვეყნად ვგზავნო ეს ჩემი კვნესა?

მე შევისწავლი შემოდგომის დაღრეჯილობას, მე შევისწავლი შუაღამით ბულბულის კვნესას, ობლად დარჩენილ წეროს ყივილს ბნელ ცაში, ისე, ისე ვიგლოვებ მე შენ საფლავს, ისე ვიტირებ.

მაგრამ არ ძალმიძს მარტო კვნესა, მარტო ტირილი..,

ოჰ ზეციერო, შემომქმედო! შეიბრალე შენგან ქმნილი ნახი არსება!

ქვეყნად ისე ცოტაა მხიბლავი, მომტაცი, რომ თვით შენვე არ აჰქნობ ამ სილამაზეს.

კაცის გულში ისე ცოტაა სიხარული და ნეტარება, რომ იქიდან შენ არ ამოსწყვეტ ერთად ერთ გრძნობას სიხარულისას—ძლიერ სიყვარულს.

დამიბრუნედ ჩემ სატრფოს სიცოცხლე, სინაზე! შთაუნერგე კვლავ ძალა და ზღაპრულობა.

შეისმინევ ყოვლად—სათნოვ ჩემი ვედრება, ჩემი ხვეწნა და ჩემი კვნესა"!...

მომაკვდავის მომქრალ სახეზე რაღაცა კვნესა გამოიხატა.

ჭაბუკის ხელშიც შეიცვალნენ სიმთა ბგერანი და მათ ხმათაგან არ ისმოდა კვლავ ვედრებანი.

იგი ზღვის ღელვას მოაგონებდა, ძლიერს, საშინელს—თავგამეტებით კლის ნაპრალებს რომ ეკვეთება.

იგი ქარტეხილს ემსგავსებოდა, ხეებს რომ ჰგლეჯავს, მთათ რომ ებრძვის სასოწარკვეთით და შეუპოვრად.

იგი იყო გაზაფხულის სეტყვა, შემოდგომის ქარიშხალი, ზამთრის ყინვა; დემონის აღდგენა ღვთის წინაშე და ცათა გრგვინვა.

იგი იყო ბრძოლა წყურვილს, ბრძოლა ნატვრის სინამდვილესთან.

„—არ არის შველა! არ არის შველა!

ჰეი, განგებავ! უსამართლოა შენი კანონი! შენ სიკვდილს ამეფებ იქ, სადაც სიცოცხლე უნდა ჰყვაოდეს.

ჰეი, ძლიერო! შენ სულ-მოკლე ხარ!—ამარცხებ იმას, ვისაც არ ძალუძს შენთან ბრძოლა და გამკლავება.

შენ სასტიკი ხარ! დაუნდობარი! —აჰქნობ სილამაზეს მაშინ, როცა ჯერ იგი არ უხილავს ქვეყნიერებას!

ო! ვიცი ჩემ ტანჯვით ვერ აგიხელ მაგ სასტიკ თვალებს!

ჩემის ვედრებით ფხიზელ ვერ ვყოფ შენ ყურთა სმენას.

მომტაცევ სატრფო, გააჰქნე მშვენება—შენგანვე ქმნილი! შენსავ წყვდიადში მტვრად აქციე ჩემი ღვთაება, მე კი... მე კი... დაე, ვქელო ქვეყნიერობა!

უსამართლოა, რომ არ ინდობ ამ ნორჩ სიცოცხლეს და უფრო მეტად უსამართლოა, რომ მის შემდგომად მე ცოცხლად მ...ოვებ!

მაგრამ ვიცოცხლებ. ვქელავ მიწას, ვუჩზერ ქვეყანას, რომ შენ წინაალმდეგ განვაგრძობდე შურისძიებას.

მდინარეთ დუდუნში, ჩხრიალში, ღრიალში მე შენი კრულვა მომესმის მხოლოდ.

ცის ჭექა-ქუხილში, ძველ ციხეთ ნგრევაში მე შენი წყევა მომესმის მხოლოდ.

გაფოთლილ ტყეში, მწვანე ველში, ნაზ ყვავილებში მე დავინახავ მაგ შენ, სასტიკ, პირქუშსა სახეს...

მაღალსა მთებში, მათ მწვერვალებაში ვიხილავ შენსა სულ-მოკლეობას!

აღვადგენ მაცდურთ, ვამრავლებ დემონთ, რომ შეებრძოლონ შენს ძლიერებას... მე კი... ოჰ, რომ შემეძლოს—წამს გავხდებოდი იმათ სარდლად, მათ წინამძღოლად.

ჩემი გონება მარად იფიქრებს, იაზროვნებს შენს სიმდაბლეზე. ჩემი გული კი მარად იგრძნობს შენს სისასტიკეს და მთელ სიცოცხლეს ვიყვირებ ქვეყნად, ვასმენ ყველას შენსა სიყალბეს.

მე შეგიძულებ, შეგიზიზღებ, სხვასაც შეგაძულებ!

ქებისა მაგიერ გეტყვი მხოლოდ წყევა და კრულვას; ვედრების ნაცვლად მე მოგიძღვნი გულისმკვლელ ზიზღსა; თხოვნა ლოცვის წილ მარად გასმენ დაცინვას მტრულსა.

შენ მოჰკალ სატრფო! გააჰქნე სილამაზე! გააქრე სიცოცხლე, მე კი ვიცინებ, ვიწყევლები, გეტყვი მუქარას და ეს იქნება ჩემი ბრძოლა, შურისძიება!..."

—

გულის მძლავრ ღელვას ვერ გაუძლეს ჩანგის სიმებმა, დასწყდნენ ჟღერაში და ჭაბუკმაც შესწყვიტა კვნესა.

მომაკვდავმა ერთხელ კიდევ გაახილა სუსტი თვალები, თითქოს სიზმარში შემოესმა ჩანგის ტკბილი ხმა; შეჰხედა მიჯნურს, თვის ჩამქრალ მკერდს, სანთელსა მბჟუტავს და ისე სუსტად დაჰხუჭა კვალად, დაჰხუჭა კვალად, სამარადისოდ...

ჭაბუკი მივარდა მომაკვდავ სატრფოს და გულს ჩაეკრა გონარეული.

**გამეფდა სიჩუმე, დამყარდა სიწყნარე.**

ღრუბელთა სრიალიც, არწივთა ფრენაც კი მოისმოდა ამ სიჩუმეში, ამ სიწყნარეში...

ასეთ მდუმარებით მოცულ ოთახში თითქოს კიდევ ყრუდ ისმოდა ჩანგის კვნესის ხმა, თითქოს კედლები განაგრძობდენ შემდეგ მის ჟღერას...

მბჟუტავი სანთელი უკანასკნელად კიდევ შეებრძოლა სუსტის ციმციმით ღამის სიბნელეს და ისე ჩაჰქრა ამ ბრძოლაში სამარადისოდ...

ამ სიწყნარეში. ამ სიბნელეში მოისმა უკანასკნელი კვნესა მომაკვდავისა... უკანასკნელი კოცნა გონ არეულისა...

**ლევ. მეტრეველი.**

თვის შორს აღარ წავალ და მოვიყვან ერთ შემთხვევას: სოფ. ბრეთში ძალიან შეწუხებული ავადმყოფი იყო და მოინდომეს პატრონებმა ექიმის მოწვევა. გაგზავნეს კაცი ცხენით ერთი საათის გზის მანძილზე სოფ. ქარელში. გაგზავნილ კაცს ქარელში ენახა ერთი ახალგაზრდა, ჯერ კურს დაუმთავრებელი მედიკი, სტუდენტი ა. ტ—ძე, რომელმაც მხოლოდ ექვსი მანეთის მიღების შემდეგ გამოსწია ავადმყოფისკენ. ამგვარად ექიმის ერთი „ვიზიტი“ და წამალი თუმანი დაუჯდათ ავადმყოფის პატრონებს, კიდევ კარგი იმ ჟამად სახლში ფული მოეპოვებოდათ. ჩვეულებრივ კი ჩვენს გაღატაკებულ გლეხს ექვსი მანეთისა კი არა, ერთი მანეთის გადახდაც უჭირს. საინტერესოა, რომ ეს ახალგაზრდა სტუდენტი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხარჯით იზრდება თურმე. ამას იქით რაღა იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაზე!

გარდა ამისა არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ აღვნიშნო, რომ ქარელის მეაფთიაქე ხშირად ახლო-მახლო სოფლებიდან მისულ გლეხებს თითქმის დილიდან საღამომდე ალოდინებს წამლის მისაღებად.

აღსანიშნავია აგრეთვე ქარელის მებორნე ძმათა არავიაშვილების თავკასულობა. ბორანზე დანიშნულია ნიხრი, კაცზე ორი კაპეიკი, მაგრამ ეს ფაჟბატონები სრულებითაც არ აქცევენ ყურადღებას ნიხრს და ორი კაპეიკის ნაცვლად შაურიანებს იღებენ ხშირად. ამას კიდევ ჯანი გავარდეს თუ თავის დროზე გაგიყვანეს და მატარებელმა არ გაგისწრო. სანამ ბლომად არ მოქუჩდებიან მგზავრები ყურს არავინ იბერტყავს და ამასობაში კი ხშირად მატარებელი გაუსწრებს ხოლმე მგზავრს.

მკვიცობას და ათასნაირ ცრუმორწმუნოებას მაგრად აქვს ფეხი გადგმული ფრონის ხეობაში. ამიტომაც ადგილობრივი გლეხკაცობა ყველას საწყლად ფურად გადაქცეულა. წერა-კითხვის მცოდნე გლეხი იშვიათი სანახავია. მთელ ფრონის ხეობაზე ძლივს მოიპოვება სამი-ოთხი სკოლა და იქაც საყველ-პურო წერა-კითხვის მეტს არაფერს ასწავლიან. ესაა მიზეზი, რომ აქაურ გლეხს იმისთანა სკოლაში შვილის მიბარება დროს დაკარგვად მიაჩნია და სკოლის ხარჯის წევა კიდევ მეტ ზარალად. ამით მე იმას არ ვამბობ, რომ გლეხს სწავლა-განათლება ეჯავრებოდეს, პირ-იქით ის სულითა და გულით მოწადინებულია სწავლის შეძენას, თუ დაუარსებენ ისეთ სკოლას, სადაც შვილები პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნას შეიძენენ.

აქეთკენ მხოლოდ ერთი მოიპოვება ასეთი სკოლა. მე მოგახსენებთ ავლევის სკოლაზე, რომელიც დაარსა დიდად პატივ-ცემულმა თავ. კოსტა ამირეჯიბმა და არც მოსტყუვდა. გლეხები დიდად დაინტერესდნენ ამ სკოლით და დიდის იმედით შესცქერიან. მშვენიერი სანახავია, როდესაც პატარა ბალღები მხიარულად და ხალისით მუშაობენ ბაღში. ამ სკოლას ჯერ-ჯერობით ჰყავს მხოლოდ ერთი მასწავლებელი, მიხეილ ედილაშვილი, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის მეურნეობა და კარგი ხილის ბაღ-ვენახი აქვს თავის ხელით გაშენებული სოფ. ბრეთში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში დიდ ადგილს დაიჭერს ეს სკოლა და ხალხს დაუფასებელ მაგალითს უჩვენებს. ამ სკოლისთვის არაფერი დაუზოგავს თავ. კ. ამირეჯიბს მატერიალურ დახმარების მხრივ და იმედია შემდეგშიაც არ მოაკლებს თავის მზრუნველობას და ამით ხელთ-უქმნელს ძეგლს დაიდგამს ჩვენი დაბეჩავებული გლეხ-კაცის გულში.

წრევანდელმა მოსავალმა ვერ გაუმართლა იმედი ჩვენს მიწის მხვნელ-მთესველს და იმის მესამედიც ვერ მოუვიდა, რის იმედიც ჰქონდათ, თუმცა ფეხათ კარგი ჭირნახულები იყო; და ყველა იმედიანად შესცქეროდა, ქვენა ქარმა უდროო დროს მოასწრო და მარცვალი ვერ დაისრულა ჭირნახულმა. განიავების დროს თითქმის ნახევარი ხორბლისა ბზეს შეჰყვა. ასევე ითქმის ვენახებზედაც, რადგან მოურწყაობამ წყლის სიძვირისა გამო ფოთოლი შეუყვითლა, ყურძნის მტევნები შეაჭკნო და ძირს სცვივა. ასე რომ წელსაც მცირე მოსავალია და გლეხი კვლავ მოელის შიმშილ-სიტიტვლეს.

**დვანელი.**

---

**სოფ. ოფშკვითი** (იმერეთი) თითქმის ყველა ჩვენი დაბა-სოფლებიდან იწერებიან: ამას ამ სოფელში საზოგადოებამ დაადგინა ესა და ეს დღეობა აღარ იდღესასწაულონ და იმის ბადლად სხვა გონებრივ რამეს მოჰკიდონ ხელიო; მღვდლის და მამასახლისის ჩაგონებით დღეობა და სასწავლებლების და სამკითხველოების გახსნას შეუდგნენ და სხვაო...

ყველა სოფელი იღვიძებს და იგნებს თავის სასარგებლო საქმეს; მხოლოდ ჩვენს სოფელს სძინავს და ყურს არ იბერტყავს, რომ იმათი გონებრივად და ქონებრივად გამდარიბებელი დღეობა, ღვთის მშობლობა, კარზეა მომდგარი. თუ წინდაწინვე რაიმე ღონე არ იღონეს, კვლავ სტუმრებით სახლი აევსებათ, რასაც სხვა „სიკეთის“ გარდა ხოლერის შემოტანაც მოჰყვება აუცილებლად, რადგან ზოგიერთ ახლო-მახლო სოფლებში ეს საშინელი სენი უკვე მძვინვარებს.

**გულშემატკივარი.**

---

**დ. ხონი.** სანიტარულ მდგომარეობის მხრით როგორც ხონი, ისე მისი ახლო მახლო სოფლები მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ქუჩები უწმინდურებითაა ავსებული. აგრეთვე უწმინდურებითაა ამოვსებული წყლის არხები, რომელიც ხონის ქუჩების ორივე ნაპირასაა გამოყვანილი. ეხლა, როდესაც ამ არხებში წყალი დაშრალია, მის ახლო არ გაეკარება ადამიანს. ყრია შიგ ჭლექიან ადამიანის ნახმარი მუთაქები და სხვა ასეთი ნივთები. ერთ ასეთ მუთაქას წავაწყდი პ. ქუთათელაძის სახლის წინ, რომელიც ბაზრის ძრიელ ახლო იმყოფება. არ იქმნება ურიგო, რომ ამას ყურადღება მიაქციოს ხონის ბაზრის სანიტარულ კომისიამ. მაგრამ ხონის სანიტარული კომისია თავს როგორ შეიწუხებს იმაზე, რომ ვიღაც პ. ქუთათელაძის სახლის წინ არხში უწმინდურებაა. მას ბაზრის უწმინდურებაზედაც კი არ შეუწუხებია თავი. რომ გაიაროთ ბაზარში უწმინდურებას ძნელად შეამჩნევთ, მაგრამ რომ გახვიდეთ დუქნების უკან იქ თქვენ დაინახავთ უღვთოდ უწმინდურებას, ნამეტურ სამიკიტნო დუქნების უკან. ამ დღეებში შემთხვევა მომეცა რომ გავსულიყავი ერთი სამიკიტნო დუქნის უკან. სადაც საჭმელებს აკეთებენ. ეს ოთახები ფეხის ადგილის გვერდითაა. ფეხის ადგილის კარები ღიაა და საშინელი სულ-შემხუთავი სუნი სდგას. ფეხსადგილის და საჭმლის გასაკეთებელ ოთახი მუდმივ ტალახია, როგორც კარგ ისე ცუდ ამინდებში იქ ისე ვერ გაივლი რომ მწერები პირში არ ჩაგიფრინდეს. ასეთი მდგომარეობაა ხონში, მაშინ როდესაც ხოლერა, ეს სტუმარი უწმინდურებისა, საქართველოს საზღვრებში დანავარდობს. რას უნდა მიაქციოს სანიტარულ კომისიამ თავისი ყურადღება თუ არა ასეთ ანტისანიტარულ მდგომარეობას სამიკიტნოებისას. შეიძლება სანიტარული კომისია იმას ფიქრობდეს, რომ აგერ ზამთარიც მოვიდა და აწი ხოლერის შიში აღარაა. შემცდარია ასეთი აზრი: ხოლერას ჯერ კიდევ შეუძლიან განვითარდეს. სანიტარულმა კომისიამ გამოაკრა განცხადებები, სადაც აძლევს ის რჩევა დარიგებას მცხოვრებლებს თუ როგორ დაიცვან თვით ხოლერისაგან. განცხადება ხალხური ენით დაეწერათ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ენა განცხადებისა არც ხალხურია და არც ლიტერატურული. სწერია სხვათა შორის განცხადებაში დაიკავეთ სისუფთავე სჯობდათ კი რომ დაეწერათ დაიცავით სისუფთავე. „დაიკავეთ სისუფთავე კი არც ლიტერატურული გამოთქმა და არც ხალხური. ცოტად ქვემოდ სწერია „სასმელათ იხმარეთ ახლად გადადუღებული წყალი“. ახლად რაღაც ქართული ენის მცოდნეს ყურთა სმენას აღარ უტკბობს. თუ ხალხური ენით სწერდით, ეს ხომ ხალხური გამოთქმა აღარ არის „არამც და არამც“ დაუბანელი ხელით საჭმელი არ მიიღოთ ხალხი კი ამ გამოთქმას ასე არ ხმარობს. ასეთი ციტატები კიდევ ბევრი შემეძლო მომეყვანა, ეხლაც საკმაოა.

**გ. ფასკუნჯი.**

# თეატრი და ხელოვნება

ქართული დრამატიული საზოგადოება მხნედ შეუდგა მომავალ სეზონისათვის მზადებას. დასი უკვე შემდგარია და რეპეტიციებიც დაიწყო. დასში შედიან: ქ-ნნი დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, მდივანი, ჯავახიშვილი, ლოლოუა, ქალარჯიშვილი, ვიქტორელი და შოთაძე, ბ.ბ. ვლ. ალექსი მესხიშვილი, აბაშიძე, კ. მესხი, გუნია, შალიკაშვილი, ბ. მდივანი, ზარდალიშვილი, იმნელი, გვარაძე, ივანიძე, მგალობლიშვილი, მატარაძე, ბეგლარიძე, გრიშაშვილი, ბერიშვილი და მამფორია. სეზონი გაიხსნება დ. ერისთავის „სამშობლოთი“, რომლისათვისაც ახალი დეკორაციები იხატება „სამშობლოში“ უმთავრესს როლებს შეასრულებენ: ქ-ნი დავითაშვილი ბ-ნნი გამყრელიძე, გუნია და ბ. მდივანი. პირველ თვეში აგრეთვე წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესები: „სატანა“ და „მირრა ეფროსი“ გორდინისა, „მზის ამოსვლამდის“ ჰაუპტმანისა, „სიმახინჯე“ შიუკაშვილისა და „მსხვერპლი“ გედევანიშვილისა. გარდა მუდმივ არტისტებისა დრო გამოშვებით მოწვეულ იქმნებიან ქ-ნნი ჩხეიძე, ჩირგაძე ბბ. გამყრელიძე, გედევანოვი და შათირიშვილი.

გამგეობას აზრადა აქვს დასდგას ზოგარშე ცნობილი კომედია „ფიგაროს ქორწინება“, ფიგაროს როლი, როგორც გავიგეთ, მინდობილი აქვს კ. მესხს.

---

**ბოდბისხევი.** წლევანდელმა ზაფხულმა ბევრად უკეთესად და სარგებლიანად გაიარა ბოდბისხევში. ადგილობრივმა მოსწავლე ახალგაზრდობამ არავითარი შრომა არ დაზოგა და მიუხედავად სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა რამდენჯერმე გამართეს წარმოდგენები და სხვა სახალხო გასართობები, რომელთაც საუკეთესო შთაბეჭდილება იქონიეს და ყურადღება დაიმსახურეს ახლო სოფლების საზოგადოებათგან. აი ამისთანა გასართობებს ეკუთვნის აგრეთვე ამ 16 მარიამობისთვეს გამართული წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ. ითამაშეს „სიკვდილ სიცოცხლე“ დუტუ მეგრელისა, და ერთმოქმედებიანი კომედია „ოინბაზი“ ორივე პიესებმა კარგათ ჩაიარეს. მეტათ საყურადღებონი იყვნენ ბ. ვ. ალუღიშვილი (პლატონის როლში) ქ-ნი ტ. ნაცვლიშვილი (სუსანა) ნ. ხანჩუხელი (ქეთო) და ნ. ტალიაშვილი (დარიკო) დანარჩენი მოთამაშენიც მხარს უჭერდნენ ამათ და საერთო შთაბეჭდილებას არ არღვევდნენ. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ყველა სოფლებში სცენის მოყვარეებს ერთნ ნაკლი ეტყობათ ხოლმე — როლების უცოდინრობა. ასე მოხდა ბოდბის-ხევშიაც: ზოგმა მოთამაშეთაგანმა სუსტად იცოდა თავისი როლი და ეს იყო მიზეზი რომ საერთო შთაბეჭდილება ისე კარგი აღარ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. წარმოდგენის შემდეგ დადგეს ცოცხალი სურათები ქ-ნ ჩახნაშვილების მეცადინეობით, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან იგინი. ერთი ბოდბისხევში ეს არის ხოლმე კარგი, რომ შესასვლელი ბილეთები ბევრად ნაკლებ ფასში იყიდება, სანამ სხვა სოფლებში. წარმოდგენის შემოსავალი გადადებული იყო ადგილობრივ წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ; ბოდბისხევი ამ მხრივ ბევრით წინა სდგას სხვა სოფლებზედ თვით ქვემო მაჩხაანზედაც კი—ამ უკანასკნელში სადღაა სამკითხველო! იგი დიდიხანია გაუქმებულია, პირველში კი საუცხოვოდ არის მოწყობილი: არის მრავალ გვარი წიგნები და იწერავენ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. აი ამ მხრივ მართლაც და მისაბაძავია ბოდბის ხევი.

ამას წინად 31 მკათათვეს, ს. ქვემო მაჩხაანში წარმოდგენილ იქმნა ცნობილი პიესა სუმბათაშვილისა „ღალატი“. ძალიან ალტაცებით ელოდებოდა საზოგადოება ამ დღეს. რაღაც დაუჯერებელ ამბავისავით იყო, როცა აფიშები გააკრეს, მაგრამ სიმართლით უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჩხაანში ღალატი ძალიან კარგათ დადგეს, მეტადრე დეკორაციები და საზოგადოთ სცენა ყველა მოქმედებაში ხელოვნურათ იყო მოწყობილი. რაც შეეხება მოთამაშეებს, უნდა ვსთქვათ რომ სუსტად თამაშობდნენ ზოგიერთების გარდა.
მწარე ბედი ეწვია მაჩხაანის წიგნთსაცავ სამკითხველოს, როგორაც ვსთქვით იგი კარგა ხანია გაუქმებულია. საკვირველია წარმოდგენები სულ საქველმოქმედო მიზნით იმართება, მაგრამ ეტყობა აქაც ცარიელი სახელია წარმოდგენების ფული ჯერ არაფერს მოხმარებია. ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგისთვის ვიტყვით ეხლაკი შევნიშნავთ გამგეებს, რომ რაც შეიძლება მხნეთ მოიქცნენ და საზოგადო შემოსავალი ისევ საზოგადო საქმეებს მოახმარონ.

**ბ—შვილი.**

---

**სამტრედია.** შაბათს 21-ს აგვისტოს ადგილობრივი განყოფილება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას მართავს დ. სამტრედიაში, რკინის გზის როტონდოში, „ილიას საღამოს“. წაკითხულ იქმნება ილიას ბიოგრაფია ე. კალანდარიშვილის მიერ. ილიას სურათს გუნდი რ. აბულაძის ლოტბარობით უმღერებს „მოჰკლეს ილია“ წარმოდგენილ იქნება ადგილობრივ სცენის მოყვარების მიერ „ბატონი და ყმა“. დასასრულ გაიმართება სალიტერატურო და საკონცერტო განყოფილება.

22 აგვისტოს კვირას ქ-ნ ელისაბედ კორძაიას გამგებლობით გაიმართება დიდი სეირნობა „ედემის ბაღში“ ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების განყოფილების უფასო ბიბლიოტეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ.

**კრუხი.**

# უცხოეთი

**ამერიკა გადაიწვა.** ყოველ ცისმარე დღეს მოაქვს ახალ ახალი ამბები თუ როგორ იწვის ამერიკა—ცეცხლი ედება ფერმებს, სოფლებს და ქალაქებს. ევროპაში არ სჯეროდათ, თუ შესაძლებელი იყო ამგვარი უზარმაზარი ადგილების გადაწვა. ევროპაში ისიც კი ვერ წარმოუდგენიათ, ამერიკაში და ავსტრალიაში ტყეებს უჭირავს სივრცით ასობის და ათასობის ორ-კუთხე ინგლისური მოედნები. ტყეებით არიან შემოღობილი იქაური ფერმები, სოფლები და ქალაქები. გამუდმებული გვალვა სწავს ტყის ზედა პირს დამჭკნარი ფოთლები და გამხმარი ტოტები ბლომათ ყრია ტყეში და წარმოადგენს მშვენიერ ცეცხლის მასალას. საკმარისია ერთი ნაპერწკალი, შეუმჩნევლად გადაგდებულ რომელსამე ფერმერისგან, ანუ ერთი პატარა კოკოლას სპიჩკის მიცემა, საკმარისია თვით მზის სხივი მოჰხვდეს ფოთოლს დაგდებულს, რომელსამე სქელს მაგ. ბოთლის შუშაზე, რომ ცეცხლმა იფეთქოს, თან და თან მეტს ადგილს ჰოედოს და ესე ინავარდ ის ერთის ხიდამ მეორეზედ, რამდენიმე ასი და ათასი ვერსის მანძილზე გადაბუგოს ყოველივეს, რაც კი გზაში გადაეღობება.

ტყის ცეცხლის გაჩენა, ყველაზე საშიში მტერი არის ამერიკელ სოფლელის ცხოვრებაში.

ცეცხლის გაჩენის წინაამდეგ იღებენ ყოველ ღონის ძიებას, სტეხავენ სახლის გარშემო ტყეს, აკეთებენ თხრილის ღობეს, მაგრამ არაფერი არ შველის.

ამერიკაში ტყის გადაწვა ხშირია, მაგრამ წლევანდელმა ტყის გადაწვამ მთელი ამერიკა შეაძრწუნა, ამგვარი არასოდეს არა ყოფილა.

# რუსეთი

◆ **პროექტი რეალურ სასწავლებლების მოსპობაზე.** სახალხო განათლების მინისტრმა წარადგინა სახელმწიფო სათათბიროში პროექტი საშუალო სასწავლებლების რეფორმაზე, რომლის ძალითაც რეალური სასწავლებლების სრულებით მოისპობა, გიმნაზიები დაარსდება ერთის ტიპისა (ჯურისა). ძველი ენები პროგრამაში დარჩება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი სწავლა არ იქნება სავალდებულოდ.

◆ **შავი ჭირი ოდესაში.** ქალაქი 72 ნაწილად გაყვეს, შავი ჭირის საბრძოლველად ყოველს ნაწილში ბრძოლის საქმეს განაგებს სამკურნალო პერსონალი. წასულს ორშაბათს 15 სული გახდა ავად შავის ჭირით.

◆ **ტულა.** ლ. ნ. ტოლსტოის მეგობარს ჩერტკოვს ნება მისცეს ტულის გუბერნიაში ცხოვრებისა.

◆ **სოციალ-დემოკრატების კონგრესი.** კოპენჰაგენში გაიხსნა მსოფლიო კონგრესი სოციალ-დემოკრატებისა, რომელზედაც გამოცხადდა 1000 დელეგატი. რუსეთიდან დაესწრო 20-მდის წარმომადგენელი და მათ შორის პლეხანოვი, მარტოვი, ლენინი და რუბანოვიჩი. დაყენებულია კითხვა სიკვდილით დასჯის მოსპობაზე, ფინლანდიის მდგომარეობაზე და სხვა.

◆ **ბერლინი.** გაიხსნა საერთა შორისო საპარლამენტო კონგრესი.

◆ **ოსმალეთის სომხები და გრ. ჯანშიევი.** სომხ. გაზ. „მშაკი“ დაბეჭდილია ერთი პატარა წერილი, რომლიდგანაც მკითხველი დაინახავს, თუ როგორ პატივსა სცემენ გრ. ჯანშიევის ხსოვნას ოსმალეთის სომეხნი, რადგანაც გრ. ჯანშიევმა დიდი ამაგი დასდო ოსმალეთის სომხების განთავისუფლებას.

ერთი ყმაწვილი მოვიდა ჩემთანო, გადმოგვცემს მღ. ასლანოვი ქ. ნ. ნოვგოროდში და მთხოვა პანაშვიდი გადამეხადნა ერთს საფლავზე. მე რასაკვირველია დავთანხმდი მაგრამ მალე გამაკვირვა შემდეგმა მისმა წინადადებამ პანაშვიდი გადამეხდევინა საფლავზედ კი არა, დაუმარხავ ალაგზე. მე ვკითხე ამის მიზეზი და შემდეგი პასუხი მივიღე.

„ჩემი მშობლები არ ვიცი სადა მარხიან. ისინი დაიხოცნენ სულ სხვა მხარეში და არც კი მინახავნან, რადგანაც ისინი 1895 წ, დაიღუპნენ სომეხთა გაჟლეტის დროს და მე კი გავიზარდე სხვის ხელში. მე ოსმალეთის სომეხთაგანი ვარ, ობლად დარჩენილ. მე ჩემს ბავშობიდგანვე შევიტყე, თუ ვინ იყო ის კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ოსმალეთის სომხებზე ზრუნვაში გაატარა. პანაშვიდიც ამ კაცზე გადაგახდევინეთ.

თქვენ, მამაო, უთოვოთ გეცოდინებათ სახელი ამ დიად კაცისა, რომელსაც ოსმალეთის სომხობა აღმერთებს; ეს არის გრიგორი ჯანშიევი. ვიდრე ოსმალეთში ვიყავ, მე სულ იმას ვნატრობდი, რომ მოსკოვში მოვმხდარიყავ და მენახა იგი, მაგრამ, როცა მეღირსა მოსკოვში მისვლა, ის ცოცხალი აღარ დამხვდა და მარტო იმის საფლავიღა მაჩვენეს; რომელზედაც ყოველ წელიწადს პანაშვიდს ვიხდი

წელს საქმეებმა ნება არ მომცეს წავსულიყავ მოსკოვში ჩვეულებრივ და გადავწყვიტე შის საფლავის მაგიერ, ამ ალაგას გადამეხდევინებინა პანაშვიდი.


# განცხადებანი

## დალმატი გალდავას

დაბეჯითებით ვსთხოვ, დამიბრუნოს ის წერილი, რომელიც 27, თუ 28 მაისს გადავეცი, მოსკოვში, ტვერის ბულვარზე დროებით შენახვათ ბარათაშვილის ხელზე, რადგანაც ამ ბარათში საჭირო დოკუმენტებია.

ადრესი: Москва. Художественны театръ, А. Пагава, (3—1)

წიგნის მაღაზიების პატრონთა

## საყურადღებოდ

იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის:

**თხზულებანი ია ეკალაძისა**

(თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, და საყმაწვილო წიგნი

**მელიას თავგადასავალი,**

**ა. ნათაძისა**

ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ სახალხო გაზეთის რედაქციაში ფ. ახალკაცს. (1—10)

## ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შეზ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—167

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9 1/2—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 1/2 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ი. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა,

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | |
|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, ხწრ.—საღ. 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | |
|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ. |


საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლაში).

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◆ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.** ◆

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 744.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ო—3)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი